

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის შესახებ

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ღონისძიება, რომელიც გავლენას ახდენს ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობაზე, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ასახული წლიურ საბიუჯეტო კანონში.

რესპუბლიკური ბიუჯეტის ცვლილებების შესახებ წარმოდგენილი კანონის პროექტით, შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა იზრდება 3 071,1 ათასი ლარით, საიდანაც საგადასახადო შემოსავლებზე მოდის 691,1 ათასი ლარი, 380,0 ათასი ლარი მოდის არასაგადასახადო შემოსავლებზე, ხოლო კაპიტალურ შემოსავლებზე 2 000,0 ათასი ლარი.

საგადასახადო შემოსავლებიდან იზრდება საშემოსავლო გადასახადი 691,1 ათასი ლარით, აღნიშნული გადასახადის გაზრდის საფუძველია ახალი გადამხდელები, რომლებიც რეგისტრირებულები არიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონების შემოსავლების სამსახურებში და ფუნქციონირებენ აჭარის ტერიტორიაზე. აგრეთვე დამატებით თანხებს მივიღებთ დროებითი საარჩევნო კომისიების თამანშრომელთა სახელფასო ფონდიდან.

არასაგადასახადო შემოსავლების ცვლილებას საფუძველად დაედო შესრულების რეალური მაჩვენებლები მიმდინარე პერიოდის შედეგების მიხედვით, კერძოდ:

ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებულ დივიდენდებში შესრულებამ მიმდინარე პერიოდისათვის შეადგინა 1912,8 ათასი ლარი („შპს ჩაის ფაბრიკა ბათუმის“ გაკოტრებიდან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ჩარიცხულ იქნა 400,0 ათასი ლარი), რაც საფუძველად დაედო აღნიშნულ სახეში შემოსავლის ზრდას. არსებული წლიური გეგმა გაიზარდა 280,0 ათასი ლარით და შეადგინა 1910,0 ათასი ლარი.

სალიცენზიო მოსაკრებლის გეგმა განისაზღვრა 100,0 ათასი ლარით, რომელიც მოიცავს შემოსავლებს ინერტული მასალების მოპოვების ლიცენზირებიდან.

ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 118 667,7 ათასი ლარის ოდენობით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ წარმოდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტით, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდით მიღებული 3 071,1 ათასი ლარი გადანაწილდა საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი განაცხადის შესაბამისად